კვირა, 3 ივნისი 1907 წ. 36 წელიწადი პირველი — № 119

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყველა თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ. ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებებისა მიიღება «ისარი»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქცია და კანტორის ადრესი: ელისაბ. ქ. № 1.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს. დიდი წერილების და ... უკან დასაბრუნებლად ხუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

„ისარი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა შეუჩერდება, თუ დროზე არ შემოიტანენ ხელის ფულს.
პირველ ივნისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 3 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მანეთი მეტი.
პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან. 40 კაპ. ტფილისს გარედ—4 მ. 80 კ., საზღვარ-გარედ—7 მან.
ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.
ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

---

**თომა, პეტრე და ვანო ზაქარიას ძენი, მონაზონი ეკატერინე ზაქარიას ასული, სალომე გაბრიელის ასული და ანანა სტეფანეს ასული ნასიძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას: პირველი სამი—ძვირფას დედისა, მეოთხე და მეხუთე—დედამთილის

## სოფიო გ ორგის ასულის ნასიძისას

გარდაიცვალა პირველ თიბათვეს. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს $6^1/_2$ საათზედ, შემახიის და ნუხის ქუჩაზედ, საკ. ს. № 3 და 5, ავლაბარში. გამოსვენება ორშაბათს, 4 თიბათვეს, დილის 9 საათზედ, ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიაში და შემდეგ დაკრძალვა წმ. პეტრე-პავლის სასაფლაოზედ. (1—115—1)

---

ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ ქუთაისში გადრდაიცვალა

## ანასტასია ს. დავა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს ქმარი შვილებითურთ. გამოსვენება ქუთაისში, საკუთარი სახლიდან, ორშაბათს, 4 ივნისს $9^1/_2$ საათზე, კათოლიკების ეკლესიაში და დაკრძალვა კათოლიკების სასაფლაოზედ. (1—187—1)

---

ამით ეუწყებათ ამხანაგობა

## „ზეთრგიას“

წევრთ, რომ 25 და 26 მაისს 1907 წ. ტფილისში შემდგარ წლიურმა კრებამ ნაადრეულად სცნო ექონია მსჯელობა და რამე დასკვნა გამოეტანა ამხანაგობის ვითარებაზედ საქმის საფუძვლიანად გაუცნობლად და ამიტომ წევრთა შორის ამოირჩია ექვსის კაცისგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა ყოველ მხრივ გამოიკვლიოს (დავთრების შემოწმებით და ქონების ადგილობრივ დათვალიერებით) ამხანაგობის მდგომარეობა და შემდეგ წერილობითი მოხსენება გაუზიაროს ყველა წევრს ამხანაგობისას. კომისიამვე უნდა შეიმუშაოს ახალი წესდება ამხანაგობისა და წარუდგინოს იგი ახლო მომავალში მოსაწვევად განზრახულ მეორე საზოგადო კრებას.

კრების თავმჯდომარე **ვ. ლამბაშიძე**.
მდივანი **გ. სალარიძე**.
(3—6.—1)

---

კბილის ექიმი
**ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (35)

---

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებ ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—117)

---

ექიმი
**მ. ხ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით $9—11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

---

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**კანისა და ვენერიულისა.** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

---

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—121)

---

## სამკურნალო
**ექიმთა საზოგადოებისა**
ტფილისში
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა
**მიხეილ ბაბაჯანოვი**: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.
**ა. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.
**გ. ა. ტატევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.
**ა. გ. ბეგლარიანოვი**: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.
**მ. ბ. კიკოინი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.
**მ. ა. ზეიგერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,
**ა. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—70)

---

ექიმი
**მ. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—66)

---

**ქუთაისში**
ექიმი მაცრიუხოვი.
მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ქიშკარიდან. (60—ფოს.—20)

---

ლამბაშიძის
## სანატორიუმი
მატარა-ცემში
ქალ-ვაჟთათვის 8—16 წლამდე.
პირობების გასაგებად ფოსტით უნდა მიმართონ, ბორჯომს ექიმ ვ. ლამბაშიძეს. (25—111—4)

---

## ფუნიკულერი სასტუმრო „კავკაზი“

3 ივნისიდან ყოველ დღე დაუკრავს დუხოვოი მუსიკა.
**ტარას ივანეს ძე ფარჯანაძე.**
(1—116—1)

---

დღეს, 3 ივნისს, დილის 11—4 საათამდის, ვაჟთა პირველ გიმნაზიაში მასწავლებელ ქალთა საზოგადოება ჰმართავს
**სტერეოსკოპიულ სურათების**
## გამოფენას
სულ გამოჰფენენ 380 სურათს. სურათებს გ ხმარტავს ვ. ს კრაევი. შესვლის ფასი 10 კაპ. (1—1)

---

ტფილისის ქალაქის
## გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ კვირას, 3 ივნისს 1907 წ., დანიშნულია არჩევნები ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა მეორე საარჩევნ ნაწილში, არაქსიანის თეატრში, ვარშამოვის სახ., კახეთის მოედანზე. არჩევნები დაიწყება დილის 10 საათზე და გაგრძელდება ნაშუადღევის 4 საათამდე. იმათ, ვინც საკანდიდატო სიებში არ არიან შეტანილნი და უნდათ-კი ხმოსნობაზე კენჭი იყარონ, ეს თავიანთ სურვილი გამოაცხადონ დილის 11 საათამდე, რა დროიდანაც დაიწყება კენჭის ყრა. ამ დროიდან აღარ შეიძლება ახალ კანდიდატების დასახელება, 4 საათზე დაიწყება კენჭების თვლა. (3—6.—2)

---

**დილის ქართული წარმოდგენა**
**ტფილ. სახაზინო თეატრში.**
კვირას, 3 ივნისს 1907, წ. ქართულ-დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა ბერლეინისა:

## სამხედრო ბანაკში.

დრამა 4 მოქ. თარგ. ა იმედაშვილის მიერ.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
დასაწყ სი დილის $11^1/_2$ საათზე. აღებული ბილეთები 31 მაისისა გამოიცვლება თეატრის კასაში.
(2—უ.—2) **გამგე ს. სვიმონიძე.**

---

**ტფილისის სახაზინო თეატრი**
7 ივნისს 1907 წელს
**ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისაგან**
პირველად ქართულ ენაზედ დაიდგმება ოპერა

## კარმენი

ოპერა 4 მოქ. მუს. ბიზესი, თარგ. ვ. გუნიასი. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი თ. რჩეულიშვილისა-პახომოვისა, ტ. აბაშიძისა, მ. ძნელაძისა და მ. ფალიაშვილისა; ბ-ნნი ნავტი, დ. კ. გედევანიშვილი, ი. ალასიანი, ი. ნესტეროვი და ა. ამირიშვილი. გუნდი ტფ. ფილარმონიულ საზოგადოებისა. **დასაწყისი 8 საათ. საღამოს.**
(4—უ.—1) დირიჟორი **ზ. პ. ფალიაშვილი.**

---



## ყურადღება!!!

მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აიღონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების „როსსია“-ს წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში მთავარ ფოსტამტის მეზობლად. ადრესი: **Тифлисъ, Троицкая у., д. № 7, по сосѣдству съ главн. почт.-телегр. конторы.**
(50—73.—28)

---

## განცხადება

**მის იმპერატორებითი უდიდებულესობის** კავკასიაში ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელის განკარგულებით, **შავი ქვის მრეწველთა მეცხრე მორიგ კრების გადატანა ქუთაისიდან ჭიათურაში ვერ მოხდება** სათანადო განსაკუთრებულ განკარგულებამდე. აცხადებს-რა ამას საყოველთაოდ, მრეწველთა კრების საბჭო ატყობინებს შავი-ქვის მრეწველთ, რომ აღნიშნული კრება განახლდება ქუთაისში ორშაბათს, 4 ივნისს, დილის 10 საათზე. (ნ. 1—1)

---

ტფილისი, 3 ივნისი.

თანდათან ძლიერდება ხმა სათათბიროს დათხოვნის მოახლოვების შესახებ. ოფიციოზურ და მთავრობის მომხრე გაზეთების აგიტაციაც გაძლიერდა. მთავრობამაო, ლაპარაკობენ ესენი, დაჰკარგა იმედი, რომ სახელმწიფო სათათბიროში შესდგა ზომიერის მიმართულების ცენტრი, რომელიც შესძლებს სამინისტროსთან ერთად საკანონმდებლო მუშაობასაო; ახლა არაფერი დარჩენია იმის მეტი, რომ დაითხოვოს სახალხო წარმომადგენლობაო. როგორც ვწერდით, თავი და თავი მიზეზი უკმაყოფილებისა აგრარული საკითხია. მთავრობას, როგორც სჩანს, ბოლომდე იმის იმედი ჰქონდა, რომ კონსტ.-დემოკრატები დასთმობენ რასმეს თავის აგრარულს პროგრამაში. იმედი გაცრუვდა: კადეტებმა ენერგიულად განაცხადეს, რომ ერთ პუნქტსაც არ სთმობენ თავის პროგრამაში და რომ ამასთანავე ახლო მომავალში სრულიად გააუქმებენ ძირითად კანონების მე-87 მუხლის ძალით გამოცემულს აგრარულ კანონებს. სწორედ ამის შემდეგ იმატა რეაქციონერთა აგიტაციამ სათათბიროს წინააღმდეგ და ამის შემდეგ გავრცელდა ხმებიც სათათბიროს დათხოვნის შესახებ.

საქმეთა მდგომარეობა ცხადია: მთავრობა ჯერ დარწმუნებულია, რომ ძალა მის ხელშია, და ამიტომ არ მოითმენს, რომ სახალხო წარმომადგენლობის უმეტესობა მის მხარეზე არ იყოს. ამისთვის მეცადინეობაც გასწია: უნდოდა კადეტები დაეყოლებინა და „ზომიერი ცენტრი“ შეექმნა; მაგრამ კადეტები სწორედ მთავარ საკითხში არ გაჰყვნენ. ახლა მთავრობა სრულებით დარწმუნდა, რომ ცენტრი სათათბიროში შესდგება, მაგრამ ეს ცენტრი ოპოზიციონური იქნება და არა მთავრობის ყურმოჭრილი მონა-მომხრე. ამისთანა მდგომარეობაში მთავრობა იძულებულია ან დაუთმოს ასეთს ცენტრს და მასთან ერთად, მის ნებაზე და გეგმაზე, აწარმოვოს კანონმდებლობის საქმე ან დაითხოვოს პარლამენტი და ქვეყანას მიჰმართოს, ქვეყანას მიანდოს დავის გადაწყვეტა; უამისოთ სათათბიროს არსებობა უაზრობა იქნება, რადგან შემოქმედებითი მუშაობა არ მოხერხდება...

რას იზამს მთავრობა, თუ სათათბიროს დათხოვნა მართლა მოხდა? ნამდვილი საკონსტიტუციო სამინისტრო დანიშნავდა ახალს არჩევნებს, ხალხს მიჰმართავდა, აუხსნიდა რაში ვერ მორიგდნენ სამინისტრო და პარლამენტი, და დაუცდიდა ხალხის მსჯავრს. მაგრამ თვითმპყრობელი კონსტიტუცია სხვა წესითა და კანონით მოქმედებს: მან იცის, რომ ქვეყნის სურვილი განახლებაა, ძველის რეჟიმის გაუქმება და ამიტომ სხვა ღონეს მიჰმართავს ხალხის თავის ნებაზე დაყოლიებისათვის. შარშან ამისთვის რეპრესიებს, ძალდატანებას, სენატის განმარტებებს მიჰმართა, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყო; საეჭვოა, რომ ახლაც ამაებს მიჰმართოს და დაკმაყოფილდეს შარშანდელის ზომებით. ოფიციოზური და რეაქციონური პრესსა პირდაპირ ამბობს, რომ საარჩევნო კანონები თუ არ შეიცვალა, მესამე სათათბიროც წინანდებური იქნება და აღარ ღირს ცდა განმეორდესო. მთავრობის მომხრე პრესსას პლანიც აქვს, მხოლოდ არ ვიცით რამდენად მართალია მისი მტკიცება, ვითომ ეს პლანი „მაღალ სფერებში“ მოწონებული იყოს. ამ პლანით დიდი ცვლილებაა განზრახული; სახელდობრ, გლეხობისა და მუშების საარჩევნო უფლება თითქმის სრულებით უქმდება; გლეხობამ, მაგალითად, ცალკე უნდა აირჩიოს თითო წარმომადგენელი თითო გუბერნიაზე. დანარჩენებისთვის უნდა გაძლიერდეს ცენზი. გარდა ამისა, კავკასიას, ციმბირს და შუა-აზიის ოლქებს „პირველ ხანებში“ სულ წაერთმევა საარჩევნო უფლებაო. ამგვარ შეცვლას სარჩევნო უფლებისას მხარს უჭერენ „თავად-აზნაურთა შეერთებული საზოგადოება“, დღევანდელი რეაქციონური ერობაც და, როგორც ხმა არის, სახელმწიფო საბჭოც...

თუ ეს გამართლდა, რუსეთი კვლავ იმ ყოფაში ჩავარდება, რომელშიაც 17 ოქტომბრის წინ იყო, ე. ი. ბულიგინის „კონსტიტუცია“ შერჩება ხელში; ეხლანდელი კრიზისი კიდევ უფრო გაძლიერდება და ბრძოლაც ძველსა და ახალს შორის კიდევ უფრო გამწვავდება. ამ რიგად გამართლდება იმათი აზრიც, რომელნიც ამტკიცებენ, რომ რუსეთის რევოლიუცია დიდ ხანს გაგრძელდება და რომ ახლანდელი სათათბირო, ახლანდელი კონსტიტუცია მხოლოდ შესვენებაა. განმათავისუფლებელი მოძრაობა თავის ლოღიკურ დასკვნამდე უნდა მივიდეს, რადგან უნიჭო მთავრობას არ ძალუძს მიხვდეს, რა ხდება ირგვლივ, და არ შეუძლია დროზედ დათმობით შეუძლებლად ჰყოს მომავალი კატასტროფა.

---

ოფიციალური განცხადება
**ს.-დემოკრატიულ ფრაქციის შესახებ**
(სააგენტოს დეპეშა)

პეტერბურგის პოლიციამ ცნობა მიიღო, რომ სათათბიროს წევრის ოზოლის სახლში, სადაც ს.-დემოკრატიულ ფრაქციის სხდომები იმართებოდა, იკრიბებოდნენ სარევოლიუციო სამხედრო ორგანიზაციის წევრნიც. ეს ცნობები შემდეგში იმ ორგანიზაციის ზოგიერთ წევრის დაპატიმრებამ დაამტკიცა. ამიტომ პოლიციამ ოზოლის სახლი გაჩხრიკა და აღმოაჩინა აუარებელი დოკუმენტი, საიდანაც სჩანს, რომ სათათბიროს ს.-დემოკრატიულ ფრაქციის 55 წევრს შეუქმნია კავშირი, რომელსაც აზრადა აქვს ხალხის აჯანყებით გააუქმოს ძირითად კანონებით დამყარებული სახელმწიფო მართვა-გამგეობის წესი და დაარსოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

ამ მიზნის მისაღწევად ფრაქციას საქმე დაუჭერია საიდუმლო საზოგადოებებთან, რომელნიც თავიანთ თავს უწოდებენ: ს.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, იმავე პარტიის პეტერბურგის კომიტეტს და მრავალ სხვა ადგილის კომიტეტს. თავის მხრივ ფრაქციამ თავისი მოქმედება ცენტრალურ კომიტეტს დაუქვემდებარა. იგი ხელს უწყობდა ხალხის ასაჯანყებლად მზადებას, განაგებდა საიდუმლო კომიტეტებს, უგზავნიდა ამ საიდუმლო კომიტეტებს წერილებს, რომლებშიაც საიდუმლო აგიტატორებს ავალებდა, ააღელვონ ხალხი მთავრობის, თავად-აზნაურობის, მოხელეების და მემამულეთა წინააღმდეგ. იმავე კომიტეტებს ავალებდა შეაერთონ და შეაკავშირონ გლეხები და სალდათები, შეჰქმნან მათგან საიდუმლო წრეები და ჯგუფები, რომ ამით ისარგებლონ მცხოვრებთა უღარიბეს ნაწილის უკმაყოფილებით და გამოიწვიონ შეერთებული აჯანყება ჯარისა, გლეხებისა და მუშებისა. ფრაქციამ მოუწოდა გლეხებს—შეჰქმნან კავშირები, შეუერთდნენ მუშებს და მზად იყვნენ საბრძოლველად, რომ ხელთ ჩაიგდონ მართვა-გამგეობის წესი და მერე ხალხის წარმომადგენლებს გადასცენ. ფრაქციამ საქმე დაიჭირა ერთ მავნე და საიდუმლო საზოგადოებასთან, რომელსაც აზრადა აქვს ჯარის აჯანყება და რომელიც სახელად ირქმევს „რუს. ს.-დემ. მუშათა პარტიის სამხედრო ორგანიზაციას“. ფრაქცია თავის ერთი წევრის გერუსის საშუალებით 29 მაისს 1907 წელს პეტერბურგიდან ხელმძღვანელობდა ერთ საიდუმლო ორგანიზაციის კრებას, მიიღო ნაკაზები ვილნოს და პეტერბურგის გარნიზონისაგან და მიიღო პეტერბურგის გარნიზონისაგან დეპუტაცია, რომელმაც აღუთქვა თავისი დახმარება. ფრაქცია ცენტრად გადაიქცა, სადაც თავს იყრიდა რევოლიუციონური მოთხოვნილებანი დამფუძნებელ კრების მოწვევისა და რესპუბლიკის დამყარების შესახებ. ფრაქციაში თავს უყრიდნენ საიდუმლო კომიტეტების ანგარიშებს და ამრიგად ფრაქცია იკვლევდა რევოლიუციონურ ძალას და შეძლებას, იწვევდა საიდუმლო კომიტეტების წარმომადგენელთ ინსტრუქციების გადასაცემად, გზავნიდა თავის წევრებს მუშების უკანონო კრებებზე ამაღელვებელ სიტყვების წარმოსათქმელად და,

დასასრულ, ჰქონდა ყალბი პასპორტები იმათთვის, ვინც ადმინისტრაციას ემალებოდა.

ყველა ამისთვის სახელმწიფო სათათბიროს ორმოცდა თხუთმეტი წევრის გამო, როგორც ბრალდებულებისა, დაინიშნა წინასწარი გამოძიება. კანონის ძალით, ყველა ამათ დროებით უნდა აეკრძალოთ სახელმწიფო სათათბიროს სხდომებში მონაწილეობა, ხოლო თოთხმეტი მათგანი, რომელნიც უფრო მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ აკრძალულ საზოგადოებაში, გამომძიებლის დადგენილებით, დატუსაღებულ უნდა იქმნას.

მთავრობამ ეს საქმე დღეს, პირველ ივნისს, შეიტანა სახელმწიფო სათათბიროში, რომ მან დაუყოვნებლივ დაითხოვოს 55 წევრი და ეხლავე დააკმაყოფილოს გამომძიებლის მოთხოვნილება თოთხმეტ წევრ დეპუტატის შესახებ.

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**სათათბიროს სხდომა.** 1 ივნისს სხდომის დაწყების წინ სათათბიროში მოვიდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. სათათბიროს წევრებს კარებშივე პოლიციამ შეატყობინა, რომ სხდომა, პრეზიდიუმის დადგენილებით, გარეშეთა დაუსწრებლად მოხდებაო. სათათბირომ უნდა განიხილოს საკითხი ს.-დემოკრატიულ ფრაქციის პასუხის გებაში მიცემის შესახებ.

2 საათსა და 7 წუთზე სხდომა ორი საათით შესწყდა.

(გაზეთებიდან)

**სათათბიროს დაშლის შესახებ.** „ნამდვილ რუსთა კავშირი“ მოუთმენლად ელის სათათბიროს დაშლას და უკვე საგანგებო კრებაც მოახდინა პურიშკევიჩის მაიკოვის და სხ. მონაწილეობით და მსჯელობა ჰქონდა ამ საგნის შესახებ. პურიშკევიჩმა საჯაროდ გამოაცხადა: ისეთი ამბავი ვიცი, რომელმაც სავსებით დამარწმუნა, რომ სათათბიროს მოკლე ხანში დაშლიან. მთავრობა მოითხოვს სათათბიროდან მემარცხენე დეპუტატების უმრავლესობის გაძევებას. სათათბიროს სვე-ბედი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ აასრულებს იგი მთავრობის მოთხოვნილებას. ყოველ შემთხვევაში სრულიად რუსეთის ნამდვილ რუსთა კავშირი სათათბიროს დაშლის დროისათვის უნდა მოემზადნენ, რაიცა უნდა ეცნობოს ყველა პროვინციალურ კომიტეტს,—დაამთავრა სიტყვა პურიშკევიჩმა.

## ახალი ამბავი

✦ **სომხების გადმოსახლება.** როგორც სააგენტოს დეპეშა იუწყება, ოსმალეთიდან ბევრი სომეხი აპირებს თურმე გადმოსახლებას კავკასიაში.

✦ **ადმინისტრატიულად გადასახლება.** ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით იგზავნებიან: ვიატკის გუბერნიაში ხუთი წლით გიორგი დემუროვი და ივანე ციმაკურიძე; სამხედრო წესების მოხსნამდე—მ. კალაშევი და სამსონ დავითაია; ასტრახანის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე—მიხეილ წიკლაური. საგ.-გუბერნატოროდან იგზავნება სიმონ ფილიშვილი.

✦ **საინტერესო სტატისტიკა.** სოც.-დემოკრატების უკანასკნელ კრებაზე ამორჩეულმა კომისიამ პირად გამოკითხვით შეადგინა, გაზეთების ცნობებით, შემდეგი საინტერესო სტატისტიკა. კრების წევრები ეროვნებით ასე განაწილდებიან: რუსი—119, ებრაელი—98, პოლონელი—38, ლატიში—30, ქართველი—31, სომეხი—3, ფინი—1, ესტონელი—2, მეგრელი—7, თათარი—1, ოსი—1, გერმანელი—2, ბერძენი—1, ლიტველი—1. საქართველოდან ყოფილა 38 დელეგატი: 31 ქართველი და 7 მეგრელი. საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ სხვებმაც მეგრელებს არ მიჰბაძეს და თავიანთ თავს გურული, სვანი, რაჭველი, კახელი, იმერელი და სხვა არ უწოდეს.

✦ **სტამბის დაკეტვა.** ტფილისში დაიკეტა „ზურმესის“ სტამბა. ასოთ-ამწყობებს მიეცათ: ვინც ერთ წელიწადს მსახურებდა—ორი კვირის ხელ-ფასი, ორ წელიწადს—სამი კვირისა, სამ წელიწადს—ოთხი კვირის და ოთხ წელიწადს—ხუთი კვირისა.

✦ **„არტელშჩიკის“ გაძარცვა.** 31 მაისს ღამით, სადგურებ ახტალასა და სადახლოს შუა, სამგზავრო მატარებელში რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დასცემია არტელშჩიკს, რომელსაც 25 ათასი მანეთი მიჰქონდა. ბოროტგამზრახველთ მოუკლავთ სტრაჟნიკი, არტელშჩიკისთვის წაურთმევიათ რევოლვერი, მგზავრები და კონდუქტორები შეუშინებიათ და შემდეგ გაუტაცნიათ 24,886 მანეთი 97 კაპეიკი, გაუჩერებიათ მატარებელი, გადამხტარან და იქვე ტყეში მიმალულან.

✦ **სტერეოსკოპიული გამოფენა.** მივაქცევთ მკითხველების ყურადღებას სტერეოსკოპიულ სურათების გამოფენას, რომელიც დღეს, დილის 11—4 საათამდის, ვაჟთა პირველ გიმნაზიის შენობაში იმართება. ეს პირველი მაგალითია სტერეოსკოპის გამოყენებისა სწავლების საგნად, სხვა და სხვა ქვეყნის ხალხთა ზნეჩვეულებანი ცოცხალ სურათებად იქნება წარმოდგენილი.

✦ **მკვლელობა.** 31 მაისს, სააგენტოს დეპეშის სიტყვით, ბაქოში მოუკლავთ ადგილობრივი გავლენიანი მაჰმადიანი ალი უსეინ-ასანოვი.

✦ **ეგზარხოსის წასვლა.** 1 ივნისს, საღამოს მატარებლით, პეტერბურგს წავიდა საქართველოს ეგზარხოსი ნიკონი. ეგზარხოსის თანამდებობის ასრულება მიენდო ორ ეპისკოპოსს გორისა და ბაქოსას.

✦ **წვიმა და სეტყვა.** 2 ივნისს, საღამოს 10 საათზე, ტფილისში ერთბაშად კოკისპირული წვიმა წამოვიდა. წვიმას ცოტა სეტყვაც მოჰყვა.

✦ **გაფიცვის გათავება.** ჰეინეს აფთიაქის ფარმაცევტები და მოსამსახურეები 17 დღის გაფიცვის შემდეგ მუშაობას შეუდგნენ, რადგან მათი ყველა მოთხოვნილება დააკმაყოფილეს.

✦ **გაფიცვა.** გორში გაფიცნენ ახალ ხიდის ამშენებელი მუშები.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი** დღეს, 3 ივნის, ზუბალაშვილის სახალხო სახლში წაიკითხავენ ლექციებს ა. ი. ხატისოვი რუსულად: „ნორმალური დასვენება“ და ა. ვ. მდივანი ქართულად: „ან-ეაკ რუსსო“. რუსული ლექცია დაიწყება 11 საათზე, ქართული კი 1 საათზე.

✦ **მკვლელობა.** 1 ივნისს ვორონცოვის ქუჩაზე იუსუფ-ახუნდ-ოღლიმ მოჰკლა სპარსეთის ელჩის მდივანი სალახამ არდიბინსკი.

✦ **ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოება.** პირველ ივნისს საზოგადო კრებამ ხანგრძლივ კამათის შემდეგ ფარული კენჭის ყრით გადასწყვიტა ის საკითხი, თუ ვინ უნდა არჩიოს, დაამტკიცოს და დაითხოვოს გიმნაზიის მასწავლებელნი ან გამგე სასწავლებლისა. უმრავლესობამ შეიწყნარა წინადადება გიმნაზიის გამგე კომიტეტისა: კომიტეტი და ექსნი მასწავლებელი ირჩევენ, როგორც მასწავლებლებს, ისე გამგეს გიმნაზიისას.

✦ **არჩევნები ბათუმში.** 27 მაისს ბათუმში მომხდარა ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნები. სულ აურჩევიათ 44 ხმოსანი და ერთი კანდიდატი (კანონიერი რიცხვი). არჩეულთაგან 16 ქართველია, დანარჩენი—სომეხი, ბერძენი და რუსი.

✦ **თავის მოკვლა.** 30 მაისს, საღამოს 6 საათზე, ტფილისში, მიხეილის საავადმყოფოს ეზოში, თავი მოიკლა კავკასიაში მიწად-მოქმედების გამგეობის იურისკონსულტმა სვიმოვმა.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის კანტროლის ბუღალტერი ცარიოვი, რომელმაც 937 მანეთი გაფლანგა, სამსახურიდან დაითხოვეს და მისი ადგილი მისცეს იქავე მოსამსახურეს დ. ცინცაძეს.

✦ 31 მაისს საბურთალოში დაიწვა ა. ბადალოვის სახლი, ზარალი 15000 მანეთისაა, სახლი 8,000 მანეთად იყო დაზღვეული.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ 31 მაისს ბანკის რწმუნებულთ განაგრძეს კრება. უთუოდ იმის მოლოდინში, რომ ბანკზე დარჩენილ მამულების გამო (ტფილისში) ცხარე კამათი ასტყდებოდა, კრებას მრავალი რწმუნებული და გარეშე ხალხი დაესწრო. შინაარსი სარევიზიო კომისიისა, ტფილ. განყოფილების გამგისა და დამფასებელ კომისიის მოხსენებისა თავის დროზე უკვე გვქონდა დაბეჭდილი. კრებაზე წაიკითხეს და მიიღეს ნამესტნიკისა და ფინანსთა მინისტრის სახელობაზე გასაგზავნი დეპეშები. ეს დეპეშები შეეხება ბანკის გამგეობის თავმჯდომარის არჩევას. წაიკითხეს დამფასებელ კომისიის მოხსენება. დიდხანს იბაასეს დარჩენილ მამულებზე და ერთადერთი ხსნა ნახეს კომისიის არჩევაში და ისეთ მამულების გაყიდვაში, რომელიც სხვებზე მეტად დაზარალებულია, მაგრამ ამ საკითხების საბოლოოდ გადაწყვეტაც მეორე დღისათვის გადადეს.

✦ არ ასვენებს ჩვენს ხმოსნებს ქალაქის თეატრი: 40,000 მანეთიანი ქონება გვაქვს და აქ ორმოცდა ათი თუმანი შემოსავალს ძლივს გვაძლევსო, აშფოთებენ ვაჭარი ხმოსნები; რა ქონებაა ის ქონება, თუ 10% ნაკლები სარგებელი მოგცაო. ასე ლაპარაკობდა ხმოსანი ბარ. მოსეშვილი საბჭოს კრებაზე, როცა უნდა გადაწყვეტილიყო: იჯარით გაიცეს თეატრი თუ თვით ქალაქმა აწარმოოს. ასეთი აზრი წარმოსთქვა ბ. მა მოსეშვილმა და მას მხარი დაუჭირა ექიმმა ნასარიძემ, როცა ქალაქის თავმა მოახსენა საბჭოს კომისიის გამოკვლევა, რომ თეატრმა რვა წლის განმავლობაში, იმის გარდა, რომ 700 თუმნის ქონება შეიძინა, წლიურად 120 თუმანს გვაძლევდა და თუ 1905—6 წლებს გამოვაკლებთ, როგორც არა ჩვეულებრივს და თეატრისათვის საზარალოს, მაშინ წლიური შემოსავალი იქნება 1600 მანეთი ხარჯს გარდაო. სხვა ქალაქები თეატრებზე ფულს [illegible] ხარჯავენ, რომ ხალხს და განსაკუთრებით მდაბიოს გონებისა და გულის საზრდო მიაწოდონ. ჩვენი ხმოსნები კი იმ აზრით იყვნენ გატაცებულნი, რომ იქნება ვინმემ 1600 მანეთის მაგივრად 2000 მანეთი მოგვცესო. ის კი ავიწყდებოდათ, რომ იჯარადარი, ვინც უნდა იყოს იგი, ვაჭართა და თავადა პირველად თავის მოგებასა და წაგებას უყურებს და, რა გასაკვირველია, ხალხის ინტერესებს იქით მისდებს და თავის საკუთარ საქმეს მოაჭახრაკებს. ეს მცირე და ადვილი გასაგები აზრი ვერ შეიგნო ექიმმა ნასარიძემ და როცა მისმა კოლეგამ ექიმმა ქორქაშვილმა ამხილა, პასუხად თავ-მომწონედ უთხრა—მაგ სისულელისა მე არაფერი მესმისო. დამიხილეთ განათლებულ კაცის სიტყვა-პასუხს!

საანბანო ჭეშმარიტება, ქუთაისის ხმოსნების უმრავლესობის სასიქადულოდ, ჭეშმარიტებად დარჩა და თეატრი იჯარით არ გაიცა. აქამდის თეატრის ქირა 35 მანეთი იყო და ეხლა კომისიის აზრით 45 მანეთი უნდა დანიშნულიყო—ასე გვეჯდება და ამდენი უნდა გადავახდევინოთო. ხმოსანმა გ. ქორქაშვილმა აქაც აღნიშნა ის, თუ რა გაჭირვებას განიცდიდნენ ქართული თეატრი და მსახიობნი და წინადადება მისცა ხმოსნებს, ფასს ნუ მოუმატებთ და თუ მაინც და მაინც არ დაგიშლიათ, ასეთი ფასი დავაწეროთო: როცა შემოსავალი 100 მ. არ აღემატება—35 მ. გადავახდევინოთ, 150 მანეთამდის—40 მ., 225 მანეთამდის—45 მ. მეტს-კი შემოსავალზე 20% იმ პირობით, რომ გადასახადი 100 მანეთს არ აღემატებოდესო. საბჭომ ეს წინადადება შეიწყნარა.

## დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**ქუთაისი.** ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელმა ნება არ დართო, რომ შავი-ზღვის მრეწველთა კრება გადატანილ იქმნას ქიათურაში. ამიტომ კრება ისევ ქუთაისში გაგრძელდება. სხდომები დაიწყება ორშაბათს, 4 ივნისს.

## ფელეტონი

### ბოდვა

(ა. კუპრინისა).

კაპიტან მარკოვის როტა დამსჯელ რაზმთან შესაერთებლად მიდიოდა. დაქანცული, ბრაზ-მორეული, ჯარის-კაცები, უხერხულად მოწყობილ ვაგონებში ხანგრძლივ მგზავრობით მოღლილნი, დაღვრემილ-მოღუშულნი იყვნენ. ერთს, რაღაც არა-რუსულ სახელწოდების სადგურზე ლუდითა და არყით გაუმასპინძლდნენ ვიღაც უცნობი კაცები, რუსულ ტანისამოსში გამოწყობილნი: ჯარის-კაცები „ურას“ იძახდნენ, სიმღერას ამბობდნენ და სცეკვავდნენ დაღვრემილის პირისახით.

ამის შემდეგ დაიწყო საქმე... როტას არ შეეძლო ტყვეებით დატვირთულიყო; ამიტომ გზაში შეპყრობილ საეჭვო და უპასპორტო ხალხს უმალ ჰხვრეტავდნენ. კაპიტანი მარკოვი არ შესცდა თავისს ფსიხოლოგიურს ანგარიშში: იცოდა, რომ ჯარის-კაცების გაშმაგებას და განზრახ გაცოფებას უსათუოდ თან მოჰყვებოდა სისასტიკე მცხოვრებთა მიმართ.

31 დეკემბერს საღამო ჟამზე როტა ღამის გასათევად ნახევრად დანგრეულ ბარონის ფერმაში დაბინავდა. ქალაქამდე ოცდა ხუთი ვერსი უნდა გაევლოთ. კაპიტანს იმედი ჰქონდა, რომ მეორე დღეს შუადღისას იქ იქნებოდნენ. ამასთან დარწმუნებული იყო, რომ ხვალ იმის როტას დიდ და ხანგრძლივ საქმეში ჩარევა მოუხდებოდა, ამიტომ სუროდა იმის ქვეშევრდომთ ცოტა მაინც დაესვენათ, დამშვიდებულიყვნენ და ძალ-ღონე მოეკრიფათ. თითონ-კი საწოლ ოთახად დაიჭირა დიდი ცარიელი დარბაზი გოტიურის ბუხრით. ლოგინიც ადგილობრივ პასტორს წაართვეს.

ბნელი, უვარსკვლავო ღამე ნელ-ნელა გადაეშვა ფერმას. მარკოვი მარტოკა იჯდა ვეებერთელა ოთახში—ბუხრის წინ, სადაც დანგრეულ მესერის ფიცრები იწოდა. ფეხები ბუხრისთვის მიებჯინა, გაშხლართულ მუხლებზე შტაბის კარტა—„ზელენკა“—გაეშალა და დაკვირვებით ათვალიერებდა ქალაქსა და ფერმის შუა მდებარე ადგილს. ცეცხლის წითელ შუქზე იმისი მაღალ-შუბლიანი, აწოწილავებულ ულვაშებიანი და უაზრო ნიკაპიანი პირისახე ჩვეულებრივზე ბევრით უფრო ულმობლად გამოიყურებოდა.

ოთახში ფელდფებელი შემოვიდა. იმის წამოსასხამიდან იატაკზე წურწურით წვეთები ჩამოდიოდა—ნაწვიმი წყალი. ცოტა ხანს გაჩერდა და რა დარწმუნდა, რომ კაპიტანი ყურადღებას არ აქცევდა, ფრთხილად ჩაახველა.

— შენა ხარ?—კაპიტანმა თავი მიიბრუნა—რა იყო?

— ყველაფერი წესიერად გახლავთ, თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ, მესამე ვზვოდი მორიგეა, ისე რომ პირველი განყოფილება ეკკლესიის გალავანთანაა, მეორე-კი...

— კარგი. სხვა რაღაა?

ჯარის-კაცი ცოტა ხანს ჩაჩუმდა, თითქოს რაღაცას ელოდაო, მაგრამ კაპიტანი სდუმდა. ბოლოს დაბალის ხმით ჰკითხა:

— რას გვიბრძანებთ, თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ: —იმ ხაძს რა ვუყოთ, რომელნიც რომა...

— გათენებისას დახვრიტეთ!—მკაცრად მოუჭრა მარკოვმა და არ აცალა ფელდფებელს სიტყვის დაბოლოვება.—საკვლავოდ-კი,—დააცქერდა იგი ჯარის-კაცს:—აღარ გავიგონო ამისთანა კითხვა გესმის?

— დიაღ, თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ!—ჯარის კაცი რაღაც გაუბედავად ტოკავდა, მაგრამ უეცრად გაბედვით და გადაჭრით წარმოსთქვა:

— თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ, ისე რომ სალდათები კითხულობენ... რა ვუყოთ იმას .. აი ბებერი რომ არის?

— წადი დაიკარგე!—დაუყვირა მარკოვმა ფელდფებელს და განრისხებულის სახით წამოჯდა საწოლზე, თითქოს სილა უნდა შემოჰკრასო.

ფელდფებელი მარდად მიტრიალდა და კარი გააღო, მაგრამ ერთ-წამს კიდევ შეჩერდა და სამსახურის კილოთი სთქვა:

— ისე რომ, თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ, მაქვს პატივი მოგილოცოთ მომავალი ახალი წელი და გისურვოთ...

— გმადლობ, ძმობილო,—მკვახედ უპასუხა მარკოვმა:—არ დაგავიწყდეს:—განკარგულება მოახდინე, რომ ჯარის კაცებმა კარგად დაათვალიერონ თოფები!

მარკოვი მარტო დარჩა. იგი ტანისამოს გაუხდელი და ხმალ მოუხსნელი დაეცა საწოლზე და პირი ბუხრისკენ მიიბრუნა. პირისახე ერთბაშად შეეცვალა, თითქოს დაბერდაო, მოკლედ შეკრეჭილი თავი თითქოს მხრებში ჩაუძვრაო, თვალები ჩაუქრა და ნახევრად დაეხუჭა. აი, ძთელი ერთი კვირაა, რაც მარკოვს ციებ-ცხელება აწუხებდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა და არ იმჩნევდა სენს. რაზმში არავინ იცოდა, რომ ღამ-ღამით მფოთავდა ციებით შეწუხებული. ერთს წამს თუ მოისვენებდა, თვალ-წინ საშინელი სურათები უდგებოდა. კაპიტანი პირ-აღმა იწვა, უყურებდა ბუხრის ალს და ჰგრძნობდა, რომ ხელ-ნელ თავი უბრუნდა და სხეული უსუსტდებოდა. იმისი აზრები რაღაც საკვირველად მიჯაჭვული იყო დილას შეპყრობილ მოხუცთან, რომელზედაც ეს არის ეხლა ელაპარაკებოდა ფელდფებელი. მარკოვი გონებითა ჰხვდებოდა, რომ ფელდფებელი მართალი იყო; მოხუცი მართლაც და რაღაც არა ჩვეულებრივი იყო, რაღაც-ნაირი გულის სიგრილე სიცოცხლისადმი, მშვიდობიანობასა და ღრმა სევდასთან ერთად. ამისთანა, ამ მოხუცის მიმგვარი ხალხი კაპიტანს უნახავს იქ, ლიაოიანსა და მუკდენთან უსიტყვოდ მომაკვდავ უბოლო ჯარის კაცთა შორის. როდესაც ის სამი კაცი დღეს მარკოვთან მიიყვანეს და მან მკერმეტყველ-ცინიკურ ხელის გაქნევით გააგებინა,—ასე მოგეპყრობით, როგორც ჯაშუშებსაო, ორს პირისახე მკვდარსავით გაუფითრდა, მოხუცმა კი მარტო ჩაიღიმა. ამ ღიმილში გამოიხატებოდა რაღაც უცნაური დაღლილობა, გულ-გრილობა და თითქო... თითქოს კიდეც ჩემი შენდობათანაგრძნობა თვით დამსჯელ რაზმის მეთაურისადმი.

— თუ ის მართლა მეამბოხეა,—ჰფიქრობდა მარკოვი და ხუჭავდა ანთებულ თვალებს,—უსათუოდ უნდა იცოდეს ბევრი საიდუმლო და მე ბრძნულად მოვიქეც, როცა მისი დახვრეტა ვბრძანე. მაგრამ ვაი თუ დამნაშავე არ იყოს!. მით უფრო ცუდი იმისთვის. მართლაც და განა მე უფლება მაქვს იმას თვალ-ყურის სადევნად მოვაცილო ორი ადამიანი, მით უმეტეს ხვალინდელ საქმის მოლოდინში? ესეც რომ არ იყოს, ოდ უნდა გადაურჩეს ის იმ თხუთმეტის ბედს, რომელნიც წინად დავხვრიტეთ? არა, ეს უსამართლობა იქნებოდა უწინდელების წინაშე...

კაპიტანმა ნელა გაახილა თვალები და უცბად ზეზე წამოვარდა, საშინლად შეშინებული. კაპიტნის წინაშე დაბალ სკამზე მშვიდად და სევდიანად იჯდა თავ-ჩაღუნული, ხელებით მუხლებზე დაბჯენილი, სასიკვდილოდ განწირული მოხუცი.

კაპიტანი მშიშარა არ იყო, თუმცა სწამდა არა-ჩვეულებრივი მოვლენანი და დიდ გულზედ რაღაც ჯადოს ატარებდა. იდუმალ, არა ხივთიერ მოვლენის წინაშე უჩუმრად მას ისევე სასირცხვილოდ მიაჩნდა, როგორც მტრის წინ დახევა ან პატიების დამამცირებელი თხოვნა. უმალ ამოიღო მან ტყავის ბუდიდან რევოლვერი, ააყენა ჩახმახი, თავში დაუმიზნა უცხოს და ბრაზით წამოიძახა:

— არ გაინძრე! ეშმაკმა იცის შენი თავი და ტანი!

მოხუცმა ნელა მოაბრუნა თავი, იმის ტუჩებზე ისევ გაიბრწყინა იმ ღიმილმა, რომელიც ასე ჩაექრა მეხსიერებაში კაპიტანს დილის აქეთ.

— ნუ სწუხართ, კაპიტანო, მე თქვენთან ცუდის განზრახვით როდი მოვსულვარ,—სთქვა მოხუცმა.—აბა სცადეთ დილამდის მაინც შეიკავოთ თავი მკვლელობისაგან!

ამ საკვირველ სტუმარს ხმაც ღიმილისავით საიდუმლო ჰქონდა: თანაბარი, ერთკილოიანი.. ამ ღიმილის გაუგებარ გავლენის ქვეშ აფიცერმა რევოლვერი ბალიშ ქვეშ შესდო, კვლავ წამოწვა და არ აშორებდა თვალს უცნობს ბნელს ფიგურას. რამდენსამე ხანს ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა მხოლოდ სამგზავრო ქრონომეტრი სწრაფლ სთვლიდა წუთებს და დაფერფლილი მუგუზლები ბუხარში ტკაცა-ტკუცით ძირისკენა ცვიოდნენ.

— ერთი ეს მითხარი, მარკოვ,—დაიწყო ბოლოს მოხუცმა:—რა პასუხს გასცემ, მსაჯულებს-კი არა, არც მთავრობას, იმპერატორსაც-კი არა, არამედ შენს სინიდისს, იმან რომ გკითხოს: რად წამოხველ ამ შემზარავ უსამართლო სისხლის ღვრაშიო?..

მარკოვმა დაცინვით მხრები აიწია.

— არა, ბებრუცუნა, შენ, ცოტა არ იყვეს, თავისუფლად-კი ლაპარაკობ. შენი კილო სრულებით არ შეჰფერის იმას, ვინც ოთხის საათის შემდეგ უნდა დახვრიტონ. მაგრამ, შენი ნებაა, ვილაპარაკოთ. ეს უძილობით და ციებით ტანჯვას მაინცა სჯობს!.. ჰო და, მაშ რას ვუპასუხებ ჩემს სინდისსა? იმას ვუპასუხებ, რომ მე ჯარის-კაცი ვარ, ჩემი საქმე—განუსჯელად დამორჩილებაა,—ეს ერთი. მეორე ის, რომ მე მკვიდრი რუსი ვარ და დეე, მთელმა ქვეყანამ იცოდეს, რომ ვინც მოინდომებს ძლიერ მპყრობელობის წინააღმდეგ ამხედრებას, იმის ფეხქვეშ იქნება გასრესილი.

— ოხ, მარკოვ, მარკოვ, რამდენი უკმეხი და სისხლის მსმელი თავმოყვარეობაა შენს სიტყვებში!—მიუგო მოხუცმა:—და რამდენი სიცრუე! შენ თვალებთან

# პროვინციის ცხოვრება

**ლეჩხუმ-სვანეთი.** ცაგერიდან სასამართლოს დაწესებულებათა გადატანა ერთ უმთავრეს საკითხთაგანია დღეს ლეჩხუმში. როგორც ვიცით, მაზრის უფროსს ბ-ნ ენკელს დავალებული აქვს, მონახოს ლეჩხუმში ამ დაწესებულებათა მოსათავსებლად საუკეთესო ადგილი. ცაგერში სასამართლოების დატოვება შეუძლებლად უცვნიათ, რადგან გზა უვარგისია ორბელიდან ცაგერამდის. ამ გზაზე ბევრი ფული დახარჯული, მაგრამ გზა მაინც დაიქცა, ეხლა თუ გაკეთდა, დიდ ძალი ფული დასჭირდება და აბა დიდ ძალ ფულს ვინ გაიმეტებს ეხლა ჩვენთვის! (რაც დაიხარჯა, იმასაც ნანობენ მგონი).

დაწესებულებათა გადასატანად ორი ადგილია აღნიშნული—ლაილაში და ახალ შალა. რაღა თქმა უნდა, ამ საქმის გამო დიდი პარტიობაა. 27 აპრილს ცაგერის მომხრეებმა თავი მოიყარეს ცაგერში მაზრის უფროსთან მოსალაპარაკებლად. თ-დმა ვლადიმერ ჩიქოვანმა მიმართა ბ-ნ ენკელს და უთხრა, რომ ნუ გვღუპავთ და ნუ ავერანებთ იმ დიდებულ ადგილს (ცაგერს), რომელიც ერთ დროს დადიანების კლიტე-სიმაგრე იყო ლეჩხუმ-სვანეთისა. ამ მხცოვან თავადს თავისი დარბაისლური ლაპარაკი უკედაზე მეტად დადიანებზედ ეხერხება და, რასაკვირველია, ცაგერის დამამშვენებელ იარადადაც ეს სიტყვები იხმარა. ცაგერის მომხრეებმა (როგორც გვითხრეს) ხსენებულ მაზრის უფროსს უსახელო წერილიც მიუძღვნეს, რომლითაც ემუქრებიან თურმე. რასაკვირველია, ასეთ საქმეში უსახელო წერილს ყურადღება არ უნდა მიექცეს. მოსათავსებელი ადგილი იქ უნდა აირჩეს, სადაც ხალხის უმრავლესობისთვის უფრო ხელსაყრელია, ხოლო ასეთ ადგილად რომელი უნდა ჩაითვალოს, ეს ყველა იმისთვის ცხადია, ვინც ლეჩხუმ-სვანეთის გარემოებას გასცნობია, თუ იგი პირად რამ ანგარიშებით სიმართლის მოყვარეობას დაჰკარგავს.

წელს ლეჩხუმის ოდენა ავადმყოფობა არა [illegible] გავრცელებულია ინფლუენცია. უბედურება უფრო ის არის, რომ საწყალი კაცი, თუ ექიმის მოსაყვანი და წამლის ფული იშოვა, ვერც ექიმს და ვერც წამალს ვერ პოულობს. თუმცა ლეჩხუმს ორი ექიმი ჰყავს, მაგრამ ხშირად ერთს ხედავს კაცი ლეჩხუმში. რაც შეეხება ჩვენ ცაგერ-ლაილაშის აფთიაქებს, ისე შეიძლება მოეწონოს კაცს, მაგრამ წამლებს კი ძვირათ იმოვის. შეიძლება აფთიაქი შეამჩნიოთ იმითი, რომ შიგ აწყვია ათიოდე შუშა-ბანკი, ცოტა ქინაქინა და ამგვარი იოლი წამლები.

ს. ჟოშხას მაისის პირველ რიცხვებში შემდეგი ამბავი მომხდარა: ლაილაშიდან წავიდა ს. ჟოშხას რამდენიმე დარაჯი უფროსის კ ჯაფარიძის წინამძღოლობით ვიღაც გადამალულ კაცის საძებნელად. სოფელში ჩასვლის დროს საშინელი წვიმა და სეტყვა წამოსულა. ამით დამფრთხალი ყანის მუშები. რასაკვირველია, თავიანთ სახლებისკენ გაშურებულან. დარაჯებს ერთ ამ გაქცეულთაგანისთვის თვალი მოუკრავს და უფიქრიათ, სწორედ ეს არის, ჩვენ რომ ვეძებთ და გვემალებაო, და დასდევნებიან! გაქცეული თავის სახლში შევარდნილა, დარაჯებიც მიჰყოლიან და უსროლიათ თოფები. ცოტა ხნის შემდეგ გმირებს მსხვერპლი უნახავთ, იგი აღმოჩნდა თურმე უდანაშაულოდ მოკლული გლეხი ლუხუტაშვილი (კაი პატარა შეცდომაა!).

7 მაისს ლეჩხუმს ეწვია ქვეითა ჯარი, რომელიც ცაგერში დაბინავდა, ხოლო ცაგერში მყოფი კაზაკები ჭრებალოს გადავიდნენ.

გამუდმებულმა გვალვამ ლეჩხუმის მცხოვრებნი დიდ საგონებელში ჩააგდო. მიწა კლდეს დაემზგავსა. დროზე არ დათესილა სიმინდი და ბევრს ხომ საგაზაფხულო პურიც დარჩა დაუთესავი. მხოლოდ ჟოშხატოლისკენ მოვიდა წვიმა ამ მაისის პირველ რიცხვებში, მაგრამ წვიმა ისეთი მფეთიანი იყო, რომ სეტყვამ სულ მთლად გაანადგურა ვენახები და ხეხილი. ხალხი ასვენებს ყოველ სოფლიდან ხატებს წყლის პირად, შიგ აბანებს და შებღავის ღმერთს, რომ ქვეყანა წვიმით მოაპკუროს.

გვალვით არის აგრეთვე შეწუხებული სვანეთიც. ლეჩხუმში, როგორც წინადაც ამ დროს, შეჰხვდებით სიმინდის სასყიდლად მოსულ სვანებს. სვანეთი დიდი ხანი დაქვეითდა მოუსავლობისა გამო, მაგრამ წელს ბევრ სხვა გაჭირვებასთან ერთად ესეც თავს დაატყდა. აქ ფუთი სიმინდი მაისის პირველ რიცხვებში მანეთად ფასობდა. მოსალოდნელია, რომ ფასი აიწიოს.

**ლაქაჩელი ბანოვანი.**

## დაუმსახურებელი უყურადღებობა.

(თავად-აზნაურთა კრების საყურადღებოდ).

ქალ. ტფილისში ქართველ ქალთა ამხანაგობამ ამ ათი წლის წინად დაარსა სახელოსნო სკოლა ქალთათვის. ამ ათის წლის განმამავლობაში სკოლას მკვიდრი სამირკველი ჩაედგა, რის დასამტკიცებელი საბუთია ის გარემოება, რომ მსურველთა რიცხვი ამ სკოლაში შესასვლელად ერთი ათად აღემატება ყოველ წლივ იმ რიცხვს (150), რაც გამგეობას სკოლისას შეუძლიან მიიღოს.

სახელოსნო სკოლაში ყოველ წლივ ოცდა ათიდან ოცდა თხუთმეტი მოწაფე ათავებს სწავლას და **ხელოსნის** წოდებით ადგება მუშაობას. ბევრი ამ სწავლა-დამთავრებულთაგანნი მუშაობს პროვინციაში, აქვს თავისი სახელოსნო სკოლა, ზოგნი ქალთა სხვა და სხვა სკოლაში მასწავლებლად არიან, უმეტესობა კი სხვის სახელოსნოებში ქარგლებად მუშაობს და თავის ოჯახში შეაქვთ თავისი ღვაწლით მონაგარი წვლილი.

მოსწავლეთა ნახევარზედ მეტი მკუთნის თავად-აზნაურთა წოდებას. აქ ქალებს არა სთხოვენ ხნიერების მოწმობას, არ აძერინებენ არავითარ **მისაღებ** ეგზამენს და სწავლას არ აწარმოებენ უცხო და გაუგებარ ენაზე. ამასთან სწავლის ფული მრიელ მცირეა და ყველასთვის ხელ-მისაწდომი (წელიწადში 9 მან.). ქალებს ყოველის ხნიერებისას ერთად ასწავლიან წერა-კითხვას (რუსულს და ქართულს), ანგარიშს, ხატვა-ხაზვას, გალობას და სამშობ. ქვეყნის შესწავლას. ზემოდ ჩამოთვლილ საგნებს აქვს დათმობილი მხოლოდ ორი საათი დღეში, დანარჩენი სამი-ოთხი საათი-კი ვარჯიშობენ ყოველ გვარ ხელ-საქმეში სპეციალურ კლასში გი ასწავლიან მხოლოდ ჭრა-კერვას.

ათის წლის განმავლობაში ორასზედ მეტმა ქალმა მიიღო ატესტატი ხელოსნისა და წელსაც ოცდა თორმეტი ქალი ამთავრებს სწავლას.

ამგვარია სკოლა ქალთა ამხანაგობისა და ნუთუ საზოგადოება უყურადღებოდ უნდა მოექცეს და ხელი არ უნდა წარემართოს იმის არსებობას და წინ სვლას? კრება დიდძალ ფულს ხარჯავს სწავლა-განათლებაზე, მხოლოდ საჭიროა ეს ფული ნაწილდებოდეს სამართლიანად, ხელ მოჭერით, დიდის აღებ-დაღებით. დახმარება უნდა ემლეოდეს საზოგადო დაწესებულებას და კერძო უკუყენებულ იქნას.

ათი წელიწადია, ქართველ ქალთა ამხანაგობის მართველობა, როგორც ჩვენ გავიგეთ, სთხოვს თავად-აზნაურთა კრებას, ელაღადება მოვიდეს, ნახოს, გაიგოს ამ სკოლის გარემოება, გამოიძიოს სარგებლობა, ამ სკოლის მიერ მოტანილი, და სუბსიდია დაუნიშნოს. მაგრამ ამ ათის წლის განმავლობაში არავინ არ მიაქცია ყურადღება სკოლის გამგეთა ღაღადს. მხოლოდ, ისე შორიდან, გადაუგდებენ ხოლმე თავად-აზნაურთა მარშლები ოციოდე თუმანს წელიწადში.

კიდევ და კიდევ ვიმეორებთ, რომ ყურადღება უნდა მიაქციონ ამ ფეხზედ დაყენებულ და რიგიანად მოწყობილ საქმეს. უმთავრესი კი ის არის, რომ ამ სკოლაში სწავლობს უდარიბესი ნაწილი როგორც თავად-აზნაურობის, ისე სხვა წოდების შვილებისა. თავად-აზნაურობა მოვალეა, უპირველესი ყურადღება ამ სკოლას მიაქციოს და შესაფერი სუბსიდია დაუნიშნოს.

## თეატრი და ხელოვნება

**კონცერტი.** 31 მაისს „ტფ. სობრანიეს“ საზაფხულო სადგომში მიხეილის ქუჩაზე გაიმართა სიმფონიური კონცერტი ბ-ნ გონსიორსკის ლოტბარობა-ხელმძღვანელობით. კონცერტში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ბავშების სიმფონია თხზ. ჰიდნისა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ცხრა ვაჟი და ქალი 7—10 წლამდე. მათ სამუსიკო იარაღს შეადგენდა ბარაბანი, დაირა, „ბულბული“, „გუგული“, სარაკრაკო, ქიქები. სახაზავები, ქვაბები და სხ. ყველა ესენი ფორტოპიანოსთან ისე ჰარმონიულად იყო შეწყობილი, რომ ალტაცებაში მოსულ დ მ-წრეთ რამდენჯერმე გაამეორებინეს. ბავშებისთვის ასეთ კონცერტის მოსმენა მეტად სასიამოვნოა და კარგი იქნება, რომ ბ-ნ გონსიორსკი სახალხო სახლშიაც გამართავდეს ასეთ კონცერტს და ტფილისის ღარიბ ბავშებსაც მისცემდეს შეძლებას მოისმინონ ჩვენში ჯერეთ ახალი სიმფონია. **დამსწრე.**

# რუსეთი

✦ **სოც.-დემოკრატები.** ლონდონში სოც.-დემოკრ. კრებაზე გამოცხადებულ იქნა ნდობა სათათბიროში მოღვაწე სოც.-დემოკრ. ფრაქციის მიმართ და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბოლშევიკების მიმართულებისა. კრებიდან დაბრუნებული დეპუტატი-მენშევიკები ფიქრობენ, რომ ეს გადაწყვეტილება გამოსაყენებელი არ არის, რადგანაც პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ მენშევიკების ტაქტიკა უფრო სწორეაო. ცენტრალურ კომიტეტში არჩევნებს ასეთი შედეგი მოჰყვა: არჩეულ იქნა 15 კაცი, მათ შორის 4 მენშევიკი, 2—ბუნდისტი მენშევიკი, 1—ლატიში-მენშევიკი, 5—ბოლშევიკი, 2—პოლონელი ბოლშევიკი და 1—ლატიში-ბოლშევიკი. ამნაირად ცენტრალურ კომიტეტში ბოლშევიკებს ერთი კაცი მეტი ჰყავთ. დამარცხდა ბოლშევიკების წინადადება პარტიზანულ გალაშქრების შესახებ. პარტიის წევრებს აეკრძალათ ამგვარ გამოლაშქრების აგიტაცია. რეზოლიუციის დამრღვევთ პარტიიდან გამორიცხვას ემუქრებიან.

✦ **ფლოტის ბიუროკრატია.** „რუსკ. ვედ.“ მოჰყავს შემდეგი საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი მუქთა-მჭამელა ბიუროკრატი ჰყოფნება რუსეთის სამხედრო ფლოტში. იქ ითვლება ამ ჟამად 12 ადმირალი, 23 ვიცე-ადმირალი და 39 [illegible] სულ 75 უმაღლესი [illegible] ლე. ეს რიცხვი რომ შევადაროთ ფლოტში არსებულ ჯავშნიან გემების რიცხვს, გამოვა, რომ თითო ჯავშნიან გემზე $2^1/_2$ ადმირალი მოდის. თვითეულ ადმირალს ეძლევა ჯამაგირი 14 ათასი მან., ათასი მანეთით მეტი ვიდრე ხმელეთის გენერალს. ზღვაზე ვარჯიშობის დროს თვითეულ ადმირალს ორ-კეცი ჯამაგირი ეძლევა. ჯამაგირს გარდა ამ სასიქადულო უმაღლეს მოხელეებს დიდი კერძო შემოსავალი აქვთ სამხედრო გემების ამშენებელ მოიჯარადრეებთან საიდუმლო კავშირის წყალობით. თვითეული ჯავშნიანი გემისა ან კრეისერის შეკვეთის დროს რამდენიმე ასი ათასი მანეთი ქრთამი ეძლევა მოიჯარადრეებისაგან უმაღლეს მეზღვაურებს. როცა რუსეთის ფლოტის ხარჯები სხვა სახელმწიფოების ხარჯებს შეადარეს, აღმოჩნდა, რომ რუსეთში ერთ ორად მეტი იხარჯება.

✦ **ექსპროპრიატორები.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა ენერგიული ზომები მიიღოს ექსპროპრიატორების (მძარცველების) წინააღმდეგ. უკვე განკარგულება გასცა იმის შესახებ, რომ პოლიციამ თვალ-ყური ადევნოს ყველა იმათ, ვინც რამე გარკვეულ ხელობას არ მისდევს და უადგილოდ არის, რადგან, სამინისტროს მიერ შეკრებილ ცნობებით, ექსპროპრიატორების უმრავლესობა უსაქმო ხალხის წრიდან გამოდის. გამორკვეულია აგრეთვე, რომ ექსპროპრიატორებს სარევოლიუციო და სოციალისტურ წრეებთან კავშირი არა აქვთ და მხოლოდ თავისი ჯიბისათვის ზრუნავენ.

✦ **უწესოებანი სოფლად.** პეტერბურგის საპოლიციო დეპარტამენტს ყოველ დღე ცნობები მოსდის სოფლად უწესოებათა შესახებ; ყველაზე მეტი ცნობები იგზავნება ვოლგის ახლო ადგილებიდან, ორიოლის, ვორონეჟის, ტულის, სმოლენსკის, მინსკის, კურსკის, ჩერნიგოვის და პოლტავის გუბერნიებიდან.

✦ **შეთქმულთა განსამართლება.** „რ. სლ.“-ს აცნობებენ პეტერბურგიდან, რომ საქმე ხელმწიფის წინააღმდეგ შეთქმულთა შესახებ ადრე არ დაინიშნება სასამართლოს განსახილველად, რადგან ამ საქმის დაწვრილებით გამოძიებისათვის საჭიროა ნახევარი ან მთელი წელიწადი.

---

მიგიტანია საგანი და ისე უცქერი და ამიტომ მარტო იმის წვრილმან მხარეებსა ჰხედავ, მაგრამ პატარა შორს დადექ და იგი თავის ნამდვილ სახით გეჩვენება. ნუ თუ გგონია, რომ შენი დიდი სამშობლო უკვდავია? განა ამასვე არ ამბობდნენ ოდესმე სპარსელები, მაკედონელები, ამაყი რომი, რომელსაც თავისს რკინის ბრჭყალებში მთელი ქვეყანა ეჭირა, უკმეხი გუნები, ევროპას შესეულნი, და ძლიერი ესპანია, რომელსაც ხელში ეჭირა დედამიწის ორი წილი? ჰკითხე ისტორიას, რა იქნა მათი განუსაზღვრელი ძალა-უფლება? მე-კი გეტყვი, რომ მანამდისაც, რამდენიმე ათასის წლის წინად, ბევრი დიდი ქვეყანა იყო, ბევრით უფრო ძლიერი, ამაყი და განათლებული შენს სამშობლოზე. მაგრამ ცხოვრებამ, რომელიც უმძლავრესი და ძველთ-უძველესია, ყველა ესენი წალეკა და მათს შემდეგ ხსოვნაც არ დაუტოვებია.

— ეს არაფერია!—სთქვა მისუსტებულის ხმით კაპიტანმა და დაეშვა ზურგზე. ისტორია თავის გზით მიდის და რა ჩვენი საქმეა იმის გზაზე დაყენება ან გზის ჩვენება!

მოხუცმა ჩუმად ჩაიცინა.

— ნუ დაემსგავსები აფრიკელ ფრინველს, რომელიც თავს ქვიშაში მალავს, როდესაც მონადირენი სდევენიან... მერწმუნე, გაივლის ასი წელიწადი და შენს შვილის-შვილებს ერცხვინებათ თავის წინაპრის ალექსანდრე ვასილის ძის მარკოვისა, ჯალათის და მკვლელისა.

— მაგრამ ნათქვამი, ბერი-კაცო! ჰო, მეც გამიგონია მაგნაირი ყბედობა ოცნებით გატაცებულთა, რომელთაც სურთ ხმლების სახნის-საკვეთად გადადნობა... ჰა-ჰა-ჰა!... წარმოდგენილი მაქვს ეგ სამეფო სურავანდიდან ნევრასტენიკოსებისა და რეგვენებისა! არა, მარტო ომი შეიქმს ღვთაებრიულს სხეულს და რკინის ხასიათს. თუმცა...—მარკოვმა მაგრა წაისვა ხელი საფეთქლებზე, რიღაცის მოგონებასა ცდილობდა:—თუმცა ყველა ეს საგულისხმიერო არ არის... რა მინდოდა შენთვის მკითხა?... ჰო, მართლა, არ ვიცი რადა და, არა მგონია-კი, რომ შენ სიცრუე სთქვა: ერთი ეს მითხარი, აქაური ხარ?

— არა!—გააქნია თავი მოხუცმა.

— მაინც ხომ აქ დაიბადე?

— არა.

— ევროპიელი ხომ მაინცა ხარ? ფრანგი? ებრაელი? რუსი? გერმანელი?

— არა, არა...

გრაზ-მორეულმა მარკოვმა მუშტი შემოჰკრა საწყალს.

— მაშ ვინა ხარ? და რატომ არის,—ეშმაკმა იცის შენი თავი და ტანი,—რომ მე შენი სახე ასე მეცნაურება? გვინახავს როდისმე ერთმანეთი?

მოხუცმა თავი უფრო დაბლა დაღუნა და დიდხანს უსიტყვოდ იჯდა. ბოლოს წარმოსთქვა, თითქოს ფიქრობსო:

— დიაღ, ჩვენ ერთმანეთი გვინახავს, მარკოვ, მაგრამ შენ არასოდეს არ გინახივარ. შენ, ალბად, არ გახსოვს ან დაგავიწყდა, პაპა-შენმა ქირიანობის დროს ერთს დილას ორმოცდა ცხრამეტი კაცი რომ ჩამოახრჩო? ამ დღეს მე იმისაგან ორ ნაბიჯზე ვიყავ, მაგრამ მე იმას როდი ვუნახივარ ..

— ჰო... მართლა... ორმოცდა ცხრამეტი...—წაიჩურჩულა მარკოვმა და იგრძნო, რომ საშინელს სიცხეს აძლევს — მაგრამ ისინი... მეამბოხეები... იყვნენ...

— მე ჩემის თვალითა ვნახე, რაც მამაშენმა გულქვაობა ჩაიდინა სევასტოპოლთან, ხოლო პაპა-შენმა—ოჩაკოვთან.— განაგრძობდა ნელის ხმით მოხუცი:—ჩემ თვალ-წინ იმდენი სისხლი დაიღვარა, რომ მას მთელის ქვეყნის წარღვნა შეუძლიან. მე ნაპოლეონთან ერთად ვიყავ აუსტერლიცის, ფრიდლანდის, იენის და ბოროდინოს ბრძოლის ველზე, ვხედავდი ბრბოს, რომელიც ტაშს უკრავდა სანსონს, როცა იგი უჩვენებდა მას გილიოტინით მოკვეთილს ლუის გასისხლიანებულს თავს. ჩემის თანადასწრებით იკლებდნენ ღვთის სახელის სადიდებლად ჰუგენოტების ცოლ-შვილს მართლ-მორწმუნე კათოლიკები წმ. ბართლომეს ღამეს. გაცოფებულ ბრბოსთან ერთად ვუყურებდი წმინდა მამებს—ინკვიზიტორებს, რომელნიც ცეცხლზე სწვავდნენ სარწმუნოების ვითომდა მწვალებელთ, ტყავს აძრობდნენ და პირს ადუღებულ ტყვიით უვსებდნენ. მე ვსდევდი ფეხ-და-ფეხ ატტილას, ჩინგისხანის და სოლიმან ბრწყინვალის ურდოებს, რომელთა გზა მოფენილი იყო ადამიანის თავის ქალისაგან დაგროვებულ გორებით. რომაელ შეუპოვარ ბრბოსთან ერთად ვიყავ ცირკში იმ დროს, როცა ძაღლებს უსისინებდნენ ნადირთა ტყავებში გახვეულ ქრისტიანებს და მარმარილოს აუზებში ჰკვებავდნენ თევზებს ტყვეების ხორცით.. ვიხილე ნერონის საშინელი ქეიფი და გამიგონია ებრაელების ტირილი იერუსალიმის დანგრეულ კედლებთან. .

— შენ მოჩვენება ხარ... წადი... შენ ჩემის ავადმყოფ ოცნების ნაყოფი ხარ მომშორდი, თავი დამანებე!—ძლივს წაილუღლუღა მარკოვმა გამშრალ ტუჩებით.

მოხუცი სკამიდან წამოდგა. წახრილი ტანი თითქოს ერთს წამს ჰერამდინ გაიზარდაო. მან ხელ-ახლა მორთო ლაპარაკი ნელა, თანაბრად და მრისხანედ.

— ვნახე, პირველად როგორ დაიღვარა ადამიანის სისხლი. ორი ძმა იყო. ერთი ალერსიანი, ნაზი, შრომის მოყვარე და შებრალო, მეორე—უფროსი—ამაყი, გულქვა და შურიანი. ერთხელ, მამა-პაპის ადათით, ისინი მსხვერპლსა სწირავდნენ თავიანთ ღმერთს: უმცროსი—მიწის ნაყოფით, უფროსი კი—თავის ნანადირევს. მაგრამ უფროსს გულში უმცროს ძმისდამი შური უღვიოდა და მისის მსხვერპლიდან ანადენი კვამლი მიწას ეფინებოდა, მისის ძმისაგან კი პირდაპირ ზეცისკენ ადიოდა; მაშინ უფროს'ს ძმას სული და გული აევსო დიდის ხნის შურით და სიძულვილით და დედამიწაზე პირველი მკვლელობა მოხდა.

— ოჰ, დამეთხოვე... თავი დამანებე... ღვთის გულისათვის! — ლუღლუღებდა მარკოვი და ციბრუტივითა ტრიალებდა აწეწილ ლოგინზე, მაგრამ მოხუცი განაგრძობდა:

— დიაღ, ვნახე, იმისი თვალები როგორ გაგანიერდა საკვდილის შიშისაგან და იმისი დაკრუნჩხული თითები როგორ სასოწარკვეთილებით ჰფხაჭნიდნენ სისხლით დასველებულს ქვიშას, და როდესაც იგი უკანასკნელად გააქრუოლა და ცივი, უგრძნობელი და გაფითრებული მიწაზე გაიჭიმა, აუტანელმა შიშმა შეიპყრა მკვლელი. იგი მირბოდა და თანაც სახესა მალავდა დაბურულს ტყეში და იქამდე იწვა იქ, ვიდრე განრისხებულ ღვთის ხმას გაიგონებდა: „კაენ, სად არის შენი ძმა აბელი?“

— წადი, ნუ მტანჯავ!—ძლივს გაამაცუნა ტუჩები მარკოვმა.

— შიშით შეპყრობილმა მე ვუპასუხე: „მე რა ჩემის ძმის დარაჯი ვარ!“-მეთქი. მაშინ დამწყევლა უფალმან სამუდამო წყევლით. „იქამდის იცოცხლე, სანამ ჩემ-მიერ შექმნილი ქვეყანა სდგას. ოხერ, უსახლ-კარო მაწანწალად იხეტიალე ყველგან და ყოველთვის და დღე, შენმა თვალებმა არა დაინახონ რა, შენ მიერ დაღვრილ სისხლის გარდა, და შენმა ყურებმა არა გაიგონონ-რა, გარდა მამაკვდავთა კვნესისა, რომელიც მუდამ მოგაგონებს შენის ძმის უკანასკნელს კვნესას.

მოხუცი ერთს წუთს შეჩერდა და კვლავ განაგრძო ლაპარაკი, რომლის თვითეული სიტყვა საშინელ ტანჯვას აყენებდა მარკოვს:

— ოჰ, ღმერთო, მართლმსაჯულია და შეუნდობელი შენი მსჯავრი! აი რამდენი ასი და ათი ათასი წელიწადი ვმგზავრობ მე დედა-მიწის ზურგზე და ამაოდ ველი სიკვდილს, ულმობელ ძალას მივყევარ იქით, სადაც ბრძოლის ველზე იხოცებიან დასისხლიანებული, დასახიჩრებული ადამიანები, სადაც მშობლები სტირიან და წყევა-კრულვას მიგზავნიან მე, პირველს ძმის მკვლელს!.. არა აქვს საზღვარი ჩემს ტანჯვას, რადგან ყოველთვის, როცა კი დავინახავ სისხლისაგან დაცლილს ადამიანს, ხელ-ახლა ვხედავ ჩემს ძმას, მიწაზე გაშოტილს. მაგონდება, როგორ ებღაუჭებოდა იგი ქვიშას მთრთოლარე ხელებით... და ამაოდ მსურს დავუყვირო ადამიანებს: „გამოიღვიძეთ! გამოიღვიძეთ! გამოიღვიძეთ!“

— გამოიღვიძეთ, თქვენო, მაღალ-კეთილშობილებავ, გამოიღვიძეთ!—იმეორებდა მარკოვის თავზე მდგომი ფელდფებელი:—დეპეშა...

კაპიტანი ხელად წამოდგა ფეხზე და ჩვეულებისამებრ ერთს წამს გახდა თავის ნების ბატონი. ბუხარში ცეცხლი დიდი ხანია ჩამქრალიყო, ოთახში-კი იყურებოდა მომავალ დღის მკრთალი შუქი.

— მაშ... ისინი?..—იკითხა მარკოვმა ხმის კანკალით.

— სწორედ აგრე, თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ, აი ეს არის ახლა...

— მოხუცი? მოხუცი?

— ისიც.

კაპიტანი ერთბაშად ღონე მიხდილი საწოლზე დაეშვა. წელში გაჭიმული ფელდფებელი იქვე გვერდით იდგა და ბრძანებას ელოდა.

— აი რა, ჩემო ძმაო: შენ ჩამომართმევ უფროსობას, — დაიწყო მარკოვმა სუსტის ხმით:—მე დღეს მოხსენება შემაქვს, იმიტომ რომ მე... რომ მე... საშინლად დამტანჯა ამ ვერანა ციებამ... იქნება კიდეც, უნდოდა გაეცინა, მაგრამ ღიმილი რაღაც დაკლაკნილი, ნაძალადევი გამოუვიდა:—იქნება მალე სრულიადაც მომიხდეს სამსახურის თავის დანებება.

ფელდფებელმა, რომელსაც არასოდეს არ აკვირვებდა-რა, ხელი ქუდზე მიიდო და დინჯად უპასუხა:

— მესმის, თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ!

**გრაგუი.**

◆ **მღვ. პეტროვის საუბარი ბალმაშევთან.** სასულიერო წოდებიდან გადაყენებულმა და პეტერბურგში დაბრუნებულმა მღვდელმა პეტროვმა საინტერესო ცნობები გაუზიარა გაზეთის კორესპონდენტს მინისტრის სიპიაგინის მკვლელ ბალმაშევთან თავისი საუბრის შესახებ. ბალმაშევს სიკვდილით სასჯელი მოუსაჯეს, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრო სცდილობდა ეს სასჯელი ...

◆ **სიკვდილით დასჯა.** მოსკოვის სამხედრო სასამართლოს ... 18 წლის ... 25 მაისს ... 18 წლის ... მოსკოვში ჩამოახრჩეს.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! ...

... შორის ამისთანა მყიდველთაგანი იყო ტარასი ჩაჩანიძე შორაპნის მაზრიდან (ს. შუქრუთიდან), რომელიც კარგა ხანია გომიდან გაიპარა და თან, რასაკვირველია, გაიყოლა კარგა ბლომა ნისიებიც შემდეგი სოფლებიდან: ვაქისა, ქინძათისა, დუმაცხოსა, ალისა, ნაზარტევისა, აძვისიდან და სხ. როგორც ნამდვილი წყაროებიდან გავიგეთ, ტარასი ჩაჩანიძეს უკვე თვე ნახევრის წინად მიუდია, ვისგანაც ჯერ არს, ჩვენი ხვედრი ფული. ისიც გავიგეთ, რომ ტარასი ჩაჩანიძემ აიღო ჭიათურაში სხვა-და-სხვა საქმე, სცხოვრობს კარგად და არც სხვა-და-სხვა გასართობებს აკლდება. მერე ხარჯავს იცით ვის ფულსა? საწყალ დამწვარ-დადაგულ მუშა გლეხის ფულს, რომელსაც დღე და ღამე გაუტეხნია, მშიერმწყურვალი უვლია, იქე მიუტანია საიდან სად შავი ქვა. აი ასეთ შრომისთვის, სრულებით აღარ გვისწორდება და აღარც გვეჩვენება.

ვაძლევთ წინადადებას ტარასი ჩაჩანიძეს, გაგვისწორდეს, გვეყოფა სხვებისაგან ტანჯვა. იმას მაინც აღარ მივცემთ ნებას, რომ ჩვენ ზურგზედ მალაყს გადავიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა საშუალებას მივმართავთ.

ზემო აღნიშნულ სოფლების მინდობილობით და ჩემ მაგივრად ხელს ვაწერ

**გლეხი ვანო.**

ვთხოვ სხვა გაზეთებსაც, გადაბეჭდონ ეს ამბავი.

—

უმორჩილესად გთხოვთ დახმარება გაგვიწიოთ და თქვენის გაზეთის საშუალებით სიმართლე აღგვადგენინოთ. აღდგომის დღესასწაულებში აქ, ს. ასკანაში (ოზურგეთის მაზრა), ამავე სოფლის მცხოვრებმა ი. დოლიძემ მორეკა ორი ხარი, რომლებიც დაჰკლა ქორწილისთვის ამავე სოფელში. ქორწილის შემდეგ ხმა გავრცელდა, ხარები საეჭვო იყოვო (ე. ი. ნაპარევიო). მაშინვე საზოგადოებამ დააკავა ხარების ტყავები რქები და აუკრძალა ხორცის მყიდველს, საქმის გამორკვევამდის ფასის (120 მ.) ჩაბარება დოლიძისათვის. შემდეგ მოიწვია საზოგადოებამ დოლიძე და მოსთხოვა საბუთი ნაყიდ ხარებისა. უკანასკნელმა წარმოადგინა შემდეგის შინაარსის ნასყიდობა:

„1907-სა წელსა, აპრილს 14 დღეს ამა ნასყიდობას გაძლევ მე ქვემორე ამისა ხელის მომწერი მცხოვ. სოფ. ლაჭანას, ლეჩხუმის უეზდში თავადი კაცია ვახტანგისძე გელოვანი თქვენ მცხოვრებს სოფ. ფიჩხის-ჯვარში, ოზურგეთის უეზდში ასკანის საზოგადოებაში იასონ ასალოსძე დოლიძეს მას შინა რომელ, მე გელოვანმა მოგყიდე თქვენ დოლიძეს ჩემი საკუთრება ორი ცალი ხ რი შემდეგის ნიშნების: პირველი ტ ნათ სრული ფერათ წითელი, რქა აყრილი, მოთეთრო. მარჯვენა ყური გაჭრილი. მეორე ტანათ საშუალზედ მეტი, ფერათ გალა წითელი, რქა მოთეთრო აყრილი, მარჯვენა ყური გაჭრილი. ეს ზომით აღწერილი ხარები მოგყიდე თქვენ დოლიძეს და ფასი მივიღე (120 მანეთი) ას ოცი მანეთი. და ეს ხარები გეკუთვნის დღეის რიცხვიდან თქვენ დოლიძეს და უკეთუ ეს ხარები ნაქურდალი აღმოჩნდეს ანუ კანონის ძალით ვინმემ ჩამოგართვას იმ შემთხვევაში შენ მაგიერი პასუხი მე უგო დ შენი მოცემული ფული უკანვე დაგიბრუნო. მას შინა საკუთარს ხელს ვაწერ კნიაზ კაცია გელოვანი. მოწმეთ დავესწრი კნიაზ ალექსი გელოვანი.»

სხვა და სხვა საბუთს გარდა, ეს ნაყიდობაც საზოგადოებას საეჭვოდ შიაჩნია და ამისათვის სთხოვს ყველას, ვინც რაიმე იცის აწერილ ნიშნის ხარების შესახებ, ან გაზეთების ან სოფლის ხასამართლოებას საშუალებით გაგვაგებინოს რაც შეიძლება მალე. გარდა ამისა, ასკანის საზოგადოებას მცხოვრებნი ვთხოვთ სხვა რედაქციებს გადაბეჭდონ ეს ჩვენი თხოვნა.

საზოგადოების მინდობილობით: **მოსე ჩხაიძე, არსენ ნაცვალაძე, ანტონ ჩხაიძე, დიომიდე ჭეიშვილი.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 ივნისი

**ჰონკონგი.** მეამბოხენი დაეცნენ სოფელ იუნჩუნს ვეიჯოუს ოლქში და სახლები გადასწვეს. რაზმს მათთან შეტაკება მოუხდა.

**კალკუტა.** დააპატიმრეს ორი აგიტატორი. იმათ ინგლისელების წინააღმდეგ ბოიკოტის ქადაგებას, ხალხის აჯანყებას და მებრძოლ რაზმის შედგენას აბრალებენ.

**ტოკიო.** ხალხს მალზე აღელვებს ფოტოგრ ფიული და ჟურნალ-გაზეთებში დახატული სურათები სანფრანცისკოში აკლებულ იაპონელების რესტორანებისა. ერთი გაზეთი შურის ძიებას თხოულობს, დადგა დრო მოქმედების, მაგრამ არა ომით, არამედ ვაჭრობა-პოლიტიკურის ბრძოლითაო. გაზეთებს ოფიციალურად წინადადება მისცეს, შეერთებულ შტატებთან მომხდარ კონფლიქტის შესახებ ამაღელვებელ წერილებს ნუ დაბეჭდავთო.

**პეტერბურგი.** დილით პეტერბურგის ნავთ-სადგურის უფროსის თანაშემწე პოლკოვნიკი კოტლიაროვი ახალ საადმირალოში მიდიოდა. ვიღაც მუშამ უკანიდან რევოლვერი ესროლა. ტყვია მუცელში გავარდა. დაჭრილი უიმედო მდგომარეობაშია. მუშა დააპატიმრეს.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ ერთხმად მიიღო კანონ-პროექტი. ამ პროექტით სურთ წვრილი სოფლის მამულები გაამრავლონ. ოპოზიციამ პრინციპიალურად მოიწონა კანონ-პროექტი, მხოლოდ ზოგიერთი ცვლილება მოითხოვა.

**პარიზი.** იმ ქალაქის თავებს, რომელთაც სამსახურს თავი დაანებეს, კლემანსომ ბარათები და მოწოდება გაუგზავნა. კლემანსო აცხადებს, რომ ვერაფერი თავის გასამართლებელია ქალაქის თავების განცხადება, ვითომ მათ სამსახურს თავი იმიტომ დაანებეს, რომ მთავრობას ზომებს არ იღებდა მეღვინეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლადაო. ქალაქის თავების თხოვნის შინაარსი პირდაპირ პარლამენტის რეჟიმის წინააღმდეგია. კლემანსო მოუწოდებს მათ პატრიოტულ გრძნობას, წინადადებას აძლევს გადასთქვან თავიანთი გადაწყვეტილება და ნუ გახდებიან ანარქიისა და რეაქციის სათამამო ნივთად. ბოლოს კლემანსო ამბობს, რომ მთავრობა მტკიცეა თავისს გადაწყვეტილებაში და ყოველ შემთხვევაში უფლებას თავისს ხელიდან არ გაუშვებსო.

**ვარშავა.** დააპატიმრეს მთელი ბრბო, რომელიც გიმნაზიის გათავების ყალბ მოწმობას ამზადებდა. ბრბოში ურევია ერთი სტუდენტად ნამყოფიც.

**სიმბირსკი.** სოფ. შუმოვკაში გაძარცვეს ფოსტის განყოფილება. გაიტაცეს 1100 მანეთი და რევოლვერი. დაიჭირეს სამი კაცი, მათ შორის ერთმა გვარად საზაროვმა ახლა ხან მიიღო სიმბირსკის გიმნაზიიდან გიმნაზიის გათავების მოწმობა. ერთმა მძიმედ დაჭრა ერთი კაზაკი.

**ლოძი.** პოსად ზდუნსკა ვოლიაში მოჰკლეს ფიქარი. სროლის დროს შემთხვევით დაჭრეს სამი გლეხი.

**პეტერბურგი.** ქ. ასტრახანის პირდაპირ არხერეისკი პოსელკში შავი ჭირით სამი კაცი გახდა ავად. ასტრახანის მაზრა ქალაქითურთ და კალმიკების ველ-მინდორი შავი ჭირის მხრივ სამიშ ადგილებად ცნობილი. ხსენებულ სოფელში შავი ჭირით ავად გახდნენ ბოჭკების ქარხანაში, სადაც 70 კაცი მუშაობს. დაუყონებლივ იმ ადგილს ალყა შემოარტყეს და ექიმები და სადეზინფექციო მასალა გაჰგზავნეს. ალყის გარედ დარჩენილი ადგილები სამზრუნველ ნაწილებად გაჰყვეს და თითო თითოს მიუჩინეს ცალკე ექიმი. უკანასკნელ ცნობით ერთი კაზაკი გახდა ავად, მაგრამ ჯერ ავადმყოფობა გამორკვეული არ არის.

**ბაღჩასარაი.** ზოგიერთ სოფლებში გლეხები საქონლიანად მიდიან მემამულეებთან და სათიბს თხოულობენ. თუ უარი მიიღეს, თავიანთ ნებით სთიბავენ.

**პეტერბურგი.** საერო განათლების მინისტრმა ნება დართო, იმ ქალაქებში, სადაც სამოსწავლო ოლქის მზრუნველია, ერთ ერთ გიმნაზიაში მზრუნველის არჩევით, დაარსოს კომისია გარეშე პირების გამოსაცდელად, რომელთაც სურთ მიიღონ გიმნაზიის გათავების სრული მოწმობა.

რედაქტორ-გამომცემელი **ივ. ი. მჭედლიშვილი.**

# განცხადებანი


ტფილისის კბილის საექიმო

## ს კ ო ლ ა
## ლ. შტრეიხერისა

(შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებისა) ერევნის მოედანი (პუშკინის ქუჩის ხრიდან).

თხოვნების მიღება **ორისავე სქესისაგან დაიწყო.** სწავლის კურსი $2^1/_2$ წელიწადი. შესასვლელად საჭიროა მოწმობა ექვსი კლასის გათავების შესახებ. მიღება პირველ, მესამე და მეექვსე სემესტრზე. (100—ბუხ.—10)

**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი.** ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

## კ ე ფ ი რ ი
## ო. კორონისა

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძმეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კ უ მ ი ს ი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—21) პატივ. **ო. კორონა.**

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**ე ქ ი მ ნ ი:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**დ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. მუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გრძელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** .—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი** (150—ხალ.—86)

## ი ყ ი დ ე ბ ა

ვერაზე, საბურთალო ტელისში, გ. დიასამიძის ადგილების მახლობლად საუკეთესო ვაკე **სააგარაკო ადგილები**, ალექსანდრე და ნიკოლოოზ გაბაშვილების მამულში თითო სამოსახლო ზომით 500—700 ოთხკუთხ საჟენამდე, ფასად წმინდა ოთხკუთხედი საჟენი 15—20 კაპეიკამდე. არც ქუჩების ფასი, არც კონტორის, არც სხვა წვრილი ხარჯი, არც გაზომვის ხარჯი არ გადახდება მყიდველებს გარეშე „ზაპროდაჟნი ზაპისების“ და „კუფჩების“ გაკეთების ხარჯებისა. „კუფჩების“ გაკეთება შეიძლება სამოსახლო ადგილის სრულ ღირებულობის გადახდისათანავე. ვისაც არ შეუძლიან ერთად ფულის შემოტანა, ის შემოიტანს სამ ნაწილად მთელ სამოსახლოს ღირებულობას ერთის წლის განმავლობაში. ესაა უმთავრესი ჩვენი პირობები. ვისაც ნებავს, შეუძლიან მიმართოს ალექსანდრე გაბაევს და ბაგრატ თოროზოვს ვერის დაღმართზე, სადაც ქალაქის სასწორი დგას. ქალაქის ხორცის მაღაზიაშია, კანტორა. (3—114—2)

საგაბაშვილო-თხინვალის საგარაკოში საბურთალოს ახლოს ვერაზედ

## ი ყ ი დ ე ბ ა მ ი წ ე ბ ი

25, 40, 60 და 80 კაპ. თითო ოთხკუთხი საჟენი ერთი წლის გადახდის ვადით ნაწილ-ნაწილად. მიწები კიდევაც დაყოფილია ნაჭრებად და ბეის შემოტანისათანავე ჩაბარდება მყიდველს თავის ხვედრი მამული. მსურველთ შეუძლიანთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: სასახლის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურთა სახლი № 153 დ. მაჭავარიანს და მ. გელოვანს 9—2 საათამდე და 5—7 ს. (15—92—13)



1—2 მან. აძლევს მსურველი დღეში.

## საჭირო

თანამშრომელნი ორისა სქესისა

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д. 15 и 5. (100—71—22)

**ს ა დ გ უ რ ც ე მ შ ი**

## ქირავდება აგარაკები.

ჰაერით, წყლით, ფიჭვის ტყით და მდებარეობით შეუდარებელია მთელ ბორჯომის ხეობაში; იშოვება სანოვაგეც. მსურველთ ვთხოვ, მიმართოთ წერილობით თუ პირადათ სადგურ ცემში სიმონ ივანეს ძე **ტაბატაძეს.**

პატივის ცემით სოფელ ცემში მცხოვრები გლეხი **სიმონ ივანეს ძე ტაბატაძე.** (2—ფ.—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1. «**ამბოხება კახეთისა**», 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . 1 მ.
2. «**საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია**», ი. ჯავახიშვილისა . 15 კ.
3. «**ქართლის ცხოვრება**», მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . . . 3 მ.
4. «**საბერძნეთის ძველი ისტორია**». ნორმან სა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. «**რომაელების ძველი ისტორია**», თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. «**ფიზიკური გეოგრაფია**», ს. იაშვალისა . . . . . . . . . . . 20 კ.
7. «**მასალების საქართველოს ისტორიისათვის**», . . . . . . . . . 1 მ.
8. «**საქართველოს ისტორია**», მ. ჯანაშვილისა . . . . . . . . . 1 მ.
9. «**მთიულეთი**», (ამბოხება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . . . . 40 კ.
10. «**ცისარტყელა**», სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტიაგის» გამოც მა . . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузіи и древней Арменій», ი. ჯავახიშვილისა . . . . . . . 1 მ. 35 კ.

(—1)

## ფეხსაცმელი

პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

შეკერილი, რანტიანი და ვინტებზე. მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი ყოველ ფასონისა.

**რანტიანი:** პარიზისა (მოვრძო) და ამერიკის ფასონებისა.

**იყიდება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის მაღაზიებში.**



რადგან ხშირად სხვები თავიანთ ცუდ საქონელს ჩვენად აღიარებენ, ფაბრიკა უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ მყიდველებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და სახელმწიფო გერბს (არწივს)




ნარდათ შეკვეთილ ამ ფეხსაცმელს ამზადებს

**ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი**

## „ლეოპოლდ ნეიშელლერი“

ტელეფონი № 346, **ტფილისში,** ერევნის მოედანი,

**რომლის საწყობშიაც არის დიდი ძალი**

**ტყავის საქონელი** რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული. (100—30)